

SCHOMBURG GmbH & Co. KG
 Aquafinstraße 2–8
 D-32760 Detmold (Germany)
 phone + 49-5231-953-00
 fax + 49-5231-953-108
 email export@schomburg.de
 www.schomburg.com





ტექნიკური სპეციფიკაცია

ASOCRET-M30

Art.-No. 2 05539

სარემონტო და გამასწორებელი ცემენტის ხსნარი 30 მმ-მდე კედლებისა და იატაკისთვის

 SCHOMBURG GmbH & Co. KG Aquafinstraße 2–8 D-32760 Detmold 15 2 05539	 SCHOMBURG GmbH & Co. KG Aquafinstraße 2–8 D-32760 Detmold 15 2 05539
DIN EN 998-1: 2010-12 ASOCRET-M30 ჩვეულებრივი საღესი	DIN EN 1504-3 ASOCRET-M30 ბეტონის შემცველი არასტრუქტურული რემონტისთვის EN 1504-3 ZA 1a
შეკუმშვის ძალა: CS IV წყლის კაპილარული აბსორბცია, კატეგორია: W2 წყლის ორთქლის შეღწევადობის კოეფიციენტი(μ): ≤25 დაჭიმვის ძალა 28 დღის შემდეგ: ≥ 0.5 N/mm ² გაზზარვა: A სითბოგამტარობა, λ10, მშრალი ტაბულირებული საშუალო სიდიდე (P = 50%) DIN EN 1745 <0.67 რეაქცია ცეცხლზე: A1 გამძლეობა: (მდგრადობა ყინვისადმი) მდგრადია ტექნიკური სპეციფიკაციების დაცვის შემთხვევაში ქლორიდის იონების შემცველობა: ≤ 0.05% წებოვნება: ≥ 2.0 N/mm ² შეზღუდული შეკლება/გაფართოება NPD მდგრადობა ტემპერატურის ცვალებადობისადმი, ნაწილი 1: ≥ 2.0 N/mm ² მდგრადობა კარბონიზაციისადმი: ტესტირება გაიარა E-მოდული: ≥ 20 Gpa რეაქცია ცეცხლზე: Euroclass A1 გამძლეობა: NPD	შეკუმშვის ძალა: R1 ქლორიდის იონების შემცველობა: ≤ 0.05% წებოვნება: ≥ 0.8 MPa წყლის კაპილარული აბსორბცია: ≤ 0.5 kg x m ² x h ^{0.5} შეზღუდული შეკლება/გაფართოება: NPD მდგრადობა კარბონიზაციისადმი: NPD რეაქცია ცეცხლზე: Class A1

NPD = მუშა მახასიათებლები არ არის დადგენილი



- შიდა და გარე ფართებისთვის
- შეკლება-კომპენსირებული
- სწრაფი გამოყენება
- წყლის ამრეკლი (რეპელენტი)
- სულფატებისადმი მდგრადი
- 3-დან 30 მმ-მდე სისქე
- რბილი მასალა
- მაღალი მდგრადობა დარტყმისადმი
- სწრაფი გადაფარვის შესაძლებლობა

გამოყენების სფეროები:

ASOCRET-M30 გამოიყენება კედლებისა და იატაკების ზონებში დაზიანებების შესაკეთებლად და სიცარიელების ამოსავსებად, ერთ ჯერზე 30 მმ-მდე სისქით. ასევე, გამოიყენება მინერალური შემავსებლების, წყალშეუღწევადი საფარების მოსამზადებლად უარყოფითი წყალგაუმტარობით (ბარიერული შელესვა) 10 მმ სისქიდან. გარდა ამისა, ASOCRET-M30 შეიძლება გამოყენებული იქნას აუზის კედლების გასასწორებლად, ასევე, კედლების და იატაკების სხვა ზონების ფორმირებისთვის 30 მმ სისქემდე, როგორცაა, მაგალითად, აუზის კიდის დეტალები ან საცურაო აუზის სხვა ნაწილები.

რეაქტიული თვისებების გამო მისი გამოყენება შესაძლებელია გარანტირებულად და ხანგრძლივი ლოდინის დროის გარეშე კრიტიკულ პირობებშიც კი. მაგ.: მაღალი ტენიანობის, დაბალი ტემპერატურის და ა.შ. პირობებში.

ტექნიკური მონაცემები:

საფუძველი: ქვიშა, ცემენტი, ხარისხიანი დანამატები

ფერი: ღია რუხი

წყლის საჭიროება: დაახლოებით 4.50 – 5.25 ლ/25 კგ

დაახლოებით 1.10 – 1.30 ლ/6 კგ

ნაყარი სიმკვრივე: დაახლოებით 1.6 კგ/დმ³.

სუბსტრატის/

გამოყენების ტემპერატურა: +5°C-დან +30°C-მდე

ვარგისიანობის ვადა

გამოყენებისას*: დაახლოებით 30 წუთი

გადაფარვა შეიძლება*: დაახლოებით 3 საათის შემდეგ

სიმტკიცე ღუნვისადმი

28 დღის შემდეგ: დაახლოებით 5.0 N/mm².

კომპრესიული სიმტკიცე

28 დღის შემდეგ: დაახლოებით 20.0 N/mm².

წყლის ორთქლის შეღწევადობის

კოეფიციენტი w₂₄: <0.1 kg/m² x h^{0.5}.

შეფუთვა: 6 და 25 კგ ცელოფნის ტომარა

მოხმარება:

- ზედაპირის მოსწორება: დაახლოებით 1.4 კგ/მ²/მმ სისქე
- მინერალური გუმბათისებრი
შემავსებლები: დაახლოებით 3.0 კგ/მ

შენახვის წესი: მშრალი, 12 თვე გაუხსნელი შეფუთვით. გახსნილი შეფუთვა დაუყოვლებლივ უნდა იქნას გამოყენებული.

*ეს მონაცემები ემყარება +23°C ტემპერატურის და 50% ფარდობითი ტენიანობის პირობებს. ადგილობრივი და კლიმატური პირობების გათვალისწინებით, მოცემული სიდიდეები შეიძლება გაიზარდოს ან შემცირდეს.

ASOCRET-M30

სუბსტრატის მომზადება

სუბსტრატი უნდა იყოს მზიდი, ჯანსაღი, კარგი წებოვანებით და არ უნდა შეიცავდეს შეწებების საწინააღმდეგო ნივთიერებებს, როგორცაა გამაცალკეველები ნივთიერებები, მტვერი და ა.შ. დაამუშავეთ მსხვრევადი ქვის ნაკერები 2 სმ სიღრმემდე და მექანიკურად დაასუფთავეთ ფართი. მარილის ლაქები დაამუშავეთ ESCO-FLUAT-ით, მოაცილეთ ყოველგვარი ნაყარი ან ცუდად შეწებებული ფენა დაზიანებული ფართიდან მყარ საფუძვლამდე. მოაცილეთ ცემენტის რძე შესაფერისი საშუალებების გამოყენებით, როგორცაა, მაგალითად, ხელის სახეხი. წინასწარ დაასველეთ სუბსტრატი ისე, რომ ASOCRET-M30-ის წასმის დროს ნამიანი იყოს. წებოვანების გაუმჯობესების მიზნით მაღალაბსორბენტული სუბსტრატები დაგრუნტეთ ASO-Unigrund-GE ან ASO-Unigrund-K მასალით. ძალიან მკვრივ ან გლუვ სუბსტრატებზე, მაგალითად ბეტონზე ან ბუნებრივი ქვის წყობაზე წასმისას გირჩევთ ASOCRET-KS/HB ფენის წასმას. პროექტის მიხედვით, ალტერნატივა შეიძლება იყოს THERMOPAL-SP ფენა.

პროდუქტის მომზადება:

სასურველი კონსისტენციის მიხედვით, ჩაასხით დაახლოებით 4.2 – 5.25 ლ სუფთა წყალი სუფთა სათლში; უწყვეტად ურეთ მექანიკურად (სიჩქარე: 300 – 700 ბრუნი/წთ); შეურეთ საკმარისი ოდენობის მშრალ ხსნარს ერთგვაროვანი რბილი პასტის მიღებამდე. შერევის დრო დაახლოებით 2-3 წუთია. დაელოდეთ 5 წუთი, შემდეგ კვლავ მოურიეთ. ხსნარის დასხმისას დაცული უნდა იქნას ლესვის ტექნიკური რეგულაციები.

ზედაპირის მოსწორება:

ASOCRET-M30 ზედაპირებზე ერთ ჯერზე 30 მმ-მდე სისქის ფენით უნდა იქნას წასმული. პირველ რიგში მომზადებულ სუბსტრატს წაუსვით ASOCRET-M30-ის თხელი, შემდეგ კი - სასურველი სისქის ფენა. მოსწორება ხდება შესაბამისი იარაღების გამოყენებით (ქაფჩა, სალესი) მუშაობის პერიოდში. მითითებული დროის შემდეგ ზედაპირი შეიძლება ჩამოსწორდეს სპეციალური დაფით ან ღრუბლით. ასევე, შესაძლებელია სახეხის გამოყენება 60-80 წუთის შემდეგ (სუბსტრატის, გარემო პირობების და სისქის შესაბამისად), ისე, რომ ზედაპირის უსწორმასწორობები აღმოიფხვრას და უხეში ზედაპირი დარჩეს, რაც შემდეგი ფენების კარგად მიკრობის შესაძლებლობას ქმნის.

სიცარიელების ამოვსება:

წინასწარ დაასველეთ მომზადებული სიცარიელების ჩამოჭრილი კიდეები სრულ დანამვამდე, შემდეგ კი ამოვსეთ ASOCRET-M30-ით. ღრმა ღრმულები ან სიცარიელები თხელი ფენით დაფარეთ. საბოლოო გასასწორებელი ფენა დაამუშავეთ სპეციალური დაფით ან ღრუბლით.

მინერალური თაღოვანი შემავსებლების მომზადება (შიდა კუთხეების და კედლების/იატაკების შეერთების ადგილები):

დაფარეთ მომზადებული სუბსტრატი ASOCRET-M30-ით თხევადი კონსისტენციით და, ვიდრე სველია, გააკეთეთ თალისებრი შემავსებლები ASOCRET-M30-ით მინ. 4 სმ კიდის სიგრძით, შემდეგ კი მოამრგვალეთ. ალტერნატივის სახით და პროექტის მიხედვით შესაძლებელია AQUAFIN-1K წებოვანი ფენის წასმა. მინერალური თაღოვანი შემავსებელი შეიძლება დაიფაროს შესაბამისი წყალგაუმტარი სისტემით დაახლოებით 3 საათის შემდეგ. მაღალი ტემპერატურა ამოკლებს, ხოლო დაბალი ახანგრძლივებს გაშრობის დროს.

ASOCRET-M30 შეიძლება მომზადებული იქნას ყველა ტიპის ტრადიციულ, უწყვეტი შერევის ტუმბოებში (მაგ.: PFT G4, Iphofen ან HighPump Basic, მწარმოებელი: HTG- HIGH TECH Germany GmbH, Berlin).

აღჭურვილობის სპეციფიკაცია:

მილის სიგრძე:	მაქს. 30 მ.
მილის ზომა:	25 – 35 მმ.
სტატორი/როტორი:	D6-3.
მეორადი მიქსერი:	როტორიანი მიქსერი
გასაფრქვევი თავაკი თხელი	
ფენისთვის, თავსაცვის ზომა:	>14 მმ.
წყალი:	დაახლოებით 280-300 ლ/სთ.

რჩევები:

- ზონები, რომლებზეც არ უნდა იქნას გამოყენებული ASOCRET-M30, დაიცავით მისი ზემოქმედებისგან;
- ASOCRET-M30, რომელმაც უკვე დაიწყო გამაგრება, არ უნდა განახლდეს წყლის ან ახალი ხსნარის დამატებით;

- ASOCRET-M30 არ უნდა გაშრეს ზედმეტად სწრაფად (მაგალითად მაღალი ტემპერატურის ან ქარის გამო). ამისათვის მიიღეთ შესაბამისი ზომები, მაგალითად, ხშირი დანამვა წყლით ან სპეციალური საფარის გამოყენებით;
- დაიცავით ASOCRET-M30 კლიმატის ზემოქმედებისგან (წვიმა, ყინვა, ძლიერი მზე, ქარი და ა.შ.) სრულ გაშრობამდე.

დაიცავით ევროკავშირში მომქმედი ქიმიური პროდუქციის უსაფრთხოების სპეციფიკაცია.

GISCODE: ZP 1

წინამდებარე ტექნიკური სპეციფიკაცია ნათარგმნია გერმანული ენიდან და არ ითვალისწინებს ადგილობრივ სამშენებლო კოდექსებს თუ სამართლებრივ მოთხოვნებს. დოკუმენტი გამოყენებული უნდა იქნას პროდუქტის მხოლოდ ზოგადი რეფერენციის სახით. სამართლებრივად სავალდებულოა მხოლოდ უახლესი გერმანული ტექნიკური სპეციფიკაცია ან უახლესი ტექნიკური სპეციფიკაცია ჩვენი ერთ-ერთი უცხოური ფილიალიდან, რომელიც ჩვენს სავაჭრო ტერიტორიაზე მდებარეობს.